სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თ მიმართავენ რედაქციის დილის
–3 საათიდე და საღამოს 6–7
„წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ნდ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
ნრის-შერ ხელმძღვანელი რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

# სახალხო სეირნობა
## საქველ-მოქმედო გაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგა-
დოების" სასარგებლოდ
დანიშნულია 16-ს და 17-ს მაისს, კვირას და ორშაბათს,
მუშტაიდში. (10—2)

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

**იმპერიალ ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად** და **პარტიობით**
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მი-
ილებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნიშნობისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, ნოვოჩერკასკში, ოდესაში, იალტაში,
ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, პიატიგორსკში და ტფილისში.

!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—18)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



# ქეფირი და კუმისი



ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებ-
ობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მედლით დაჯილ-
დოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ლ. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუ-
ჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგა-
დოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—15) ლ. კორონა.

დაიბეჭდა და იყიდება ახალი წიგნი
გამოცემა იოსებ იმედაშვილისა № 2.

# მოწაფის ჰიგიენა

თარგმანი ი. გ—რისა.

30 გვ. სუფთად დაბეჭდილი, ფასი სამი კაპიკი
მსურველთ ფასდადებით გაეგზავნებათ, მასწავლებლებს დაეთმო-
ბათ: 25 ცალი 65 კაპ., 50 ც. 1 მ. და 20 კაპ., 100 2 მ. და 25 კ.
ფულის მაგიერ, ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.
ეს წიგნაკი შედგენილია ჰოლანდიის საერო განათლების სამი-
ნისტროს განკარგულებით სამედიცინო საბჭოს მიერ, და მისგანვე გა-
მოცხადებულია, როგორათაც სავალდებულო სახელმძღვანელო სკო-
ლებში სახმარებლად. რუსულ ენაზე სამინისტროს მიერ მოწონებუ-
ლია მოწაფეთა შორის გასავრცელებლად.
ჩვენი ადრესი: Тифлисъ, Книжная торговля И. З. Имеда-
швили (ალექსანდრეს ბაღთან). (3—2)

ვაგზლიდამ ოქრომჭედლის რი-
გამდე სასიარულო გზაზე

# დავკარგე ხმალი

განსვენებულ ბოქაულ ჩიქოვანისა.
ვინც იპოვნის ვსთხოვთ მოგვი-
ტანონ და საჩუქრისთვის მოგვ-
მართონ: ოქრომჭედლების რიგი
სახლი № 18 ტურიევის სახლებში.

სამკურნალო და ამბულატორია
# ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. გ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. კ. ზურაბი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. ქობანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
მარშამსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. გ. თო-
ფურია
Лечебница В. С. Топурія въ Кутаисѣ


# ახალი ამბავი

*** **ქართული თეატრის ბიბლიო-
თეკა.** ჩვენს მკითხველებს მოეხსე-
ნება რომ ქართული თეატრის ბი-
ბლიოთეკის მოწყობა-რიგება და შევ-
სება დავალებული აქვთ გამგეო-
ბის წევრს პეტრე ყიფიანს და
არტისტს ვასილ აბაშიძეს.

ეხლა როგორც გვატყობინებენ,
ბიბლიოთეკის საქმე მართლა საუ-
ცხოვოდ მიდის, რადგან ბევრ პა-
ტიოსან პირთ შეუწირავთ თეატ-
რისათვის გამოსადეგი წიგნები და
ბევრთ, კიდევ აღუთქვამთ წიგნებით
თუ ფულით ხელის შეწყობა.

ამ რიგად თუ წავიდა საქმე.
სრული იმედია, რომ ქართულ
თეატრის ბიბლიოთეკა ერთ საუ-
კეთესო ბიბლიოთეკათ შეიქნება,
რაიც ხელს შეუწყობს ჩვენს ნორჩს
ეროვნულ ხელოვნებას.

*** **ქართული დრამატიული სა-
ზოგადოების კანტორა.** ჩვენ შევი-
ტყვეთ, რომ ქართულ დრამატიულ
საზოგადოებას აზრათ აქვს თავის
თვის სადგომი კონტორა გაიჩინოს'
სადაც მოთავსებული იქნება ბიბ-
ლიოთეკა, კანცელარია და სხვა
საქმეები საზოგადოებისა. ამ რიგად
ქარ. დრამ. საზოგადოებას ოცი
წლის შემდეგ ცოტად თუ ბევრად
მიეცემა მაინც დაწესებულების ხა-
სიათი.

*** **ახალი გუბერნატორის ბოლ-
კოვნიკ სვეჩინს გუშინ-წინ წარუდ-**

გა ქალაქის მოურავი ბ-ნი ევანგულოვი და გუშინ გამოეცხადა ყველა მოხელენი პოლიციისა: ბოქაულები, მათი თანაშემწენი, უბნის ზედამხედველები და სხვანი.

⁂ **სახალხო წარმოდგენა ცირკში.** ზოგიერთ ქართული სცენის პატარა აქტიორებს ამხანაგობა შეუდგენიათ და განუზრახავთ დრო-გამოშვებით მართონ ხომე წარმოდგენა ნიკიტინის ცირკში. ფასები ადგილების ძრიელ იაფია, ორი შაურიდან მოყოლებული ვიდრე 2 მანათამდე. შემდეგ წარმოდგენა დანიშნულია ხუთშაბათს 6 მაისს, წარმოადგენენ სახალხო პიესას „ქოროღლის“, რომელიც მდაბიო ხალხს ძრიელ მოსწონს.

⁂ **პროკურორი პალატისა ბ-ნი გასილიევი** უმაღლესის ბრძანებით დათხოვნილ იქმნა ორის თვის ვადით საზღვარ-გარეთ.

⁂ **სახელმწიფო ბანკის გამგებელი** ბ-ნი შტეინი როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“ ამბობს, გადაჰყავთ ტფილისიდან ქ. რეველში.

⁂ **სახალხო ქართული წარმოდგენა.** დღეს, ავჭალის სახლში, დანიშნულია ქართული წარმოდგენა. ითამაშებენ ავქ ცაგარლის პიესას „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

⁂ **† მიხეილ ბურკოვი.** გუშინწინ სასტუმრო „ლივადიაში“ უცებ გარდაიცვალა მიხეილ ბურკოვი. რომელსაც ქართველი მემამულენი კარგად იცნობდნენ, რადგან იგი „ლესნიჩი“ იყო და ტყეს ნიხრავდა ხოლმე სახელმწიფო ბანკში დასაგირავებლად.

⁂ **საქალებო გიმნაზია ბათომში.** კავკასიის ოლქის მზრუნველს ბათომში ყოფნის დროს, თურმე წარუდგა ბათომის საბჭოს დეპუტაცია, რომელმაც სთხოვა ბ-ნ მზრუნველს შუამდგომლობა აღძარით, სადაც ჯერ არს, რათა ბათომში დაარსდეს საქალებო გიმნაზია. ბ-ნ მზრუნველს აღუთქვამს ყოველი შემწეობა. თუ ბათომი აგრე გულმოდგინედ შეუდგა სწავლა-განათლების საქმეს, სრული იმედია, რომ იგი მალე ყველა კავკასიის ქალაქებს გაასწრობს. ღმერთმა ხელი მოუმართოს.

⁂ **ხმალში გამოსვლის წეს-რიგის შეცვლა.** სამხედრო სამოსამართლო დაწესებულებაში დანიშნულია კომისია გენერალის დოხტუროვის თავსმჯდომარეობით აფიცერთა შორის ხმალში გამოსვლის წეს-რიგის შესაცვლელად.

⁂ **მხეცური მკვლელობა.** გუშინ-წინ, კახეთის ქუჩაზე თორნეში რაჭველს ანდრია გოგოლაძეს დამბაჩით მოუკლავს თავისივე სოფლის მცხოვრები 16 წლის ყმაწვილი ფარნა დაუშვილი. მკვლელობის მიზეზი ეჭვიანობა იყოვო; საბრალოს ტყვია შიგ შუბლში მოხვედრია და სანამ საავადმყოფოში წაიყვანდნენ გზაში მომკვდარა. დამნაშავე გოგოლაძე შეპყრობილია.

⁂ **შეცდომის გასწორება.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: ამას წინად როგორც „ივერიაში“ ისე „ცნობის ფურცელში“ თიანეთში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულის წარმოდგენის ანგარიშში შეცდომით გამოტოვებული ორი მონაწილე სახელდობრ: ა. აბრამიშვილი და ი. ფიცხელაური. საზოგადოების გამგეობა საჭიროდ სთვლის ამ შეცდომის გასწორებას და მადლობასაც უძღვნის ხსენებულთ პირთ შრომისათვის.

⁂ **ს. ალაგირი** (თერგის მხარე) სოფ. ალაგირის ჩვენი ქართველი საზოგადოება დიდი ხანია მოკლებულნი ვიყავით სწავლა-განათლებას, ქართულ წირვა-ლოცვას და გალობას. მაგრამ ამ ბოლოს დროს, როცა სკოლა გაგვეხსნა, ჩვენი საქმე, როგორც ვხედავთ თან-და-თან წინ მიდის, ბატონი ტიტე კახიძისავე მეცადინეობით აქ დაგვინიშნეს ჩვენ მასწავლებლად ბ. პავლე სოფარლომთათიძე, რომელმაც სწავლა მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში. მოვიდა ეს პატივცემული პირი თუ არა, მაშინვე ჩვენი ბავშვების საქმე წინ წაიყვანა. მასწავლებელი სალამოთიც უწოდებს ბავშვებს და ამავე სკოლის დარბაზში ასწავლის მათ გალობას ქართულს ენაზედ. ამ თვის აპრილის 23-ს, გვაქვს ჩვეულებად, როგორც სხვა-და-სხვა საქართველოს კუთხეებში იციან, წმიდა გიორგის დღეობა (ჩვენებურად „თემობა“.) ჩვეულებისაებრ ვაწირვინებდით ამ დღეს მღვდელსა, რასაკვირველია, რუსულ ენაზედ, მაგრამ დღეს ჩვენ მოვისმინეთ საყდარში, ჩვენი მამა-პაპური ქართული და იმერული გალობა. მშვენივრათ შემდგარი ქართველ მგალობელთა გუნდი გალობდა ეკლესიაში მასწავლებლის პავლე ლომთათიძის ლოტბარობით, რომელმაც მოიყვანა სიხარულში არა მარტო მსმენელთა ქართველი საზოგადოება, არამედ რუსებიც და ოსებიც. დიდი მადლობის ღირსია პავლე ლომთათიძე, აგრეთვე მადლობის ღირსია ადგილობრივი მღვდელი მამა გიორგი არაევი, რომელმაც არა მარტო ქართული გალობის თქმის ნება მოგვცა ეკლესიაში, არამედ თვითონ მან რამოდენიმე მშვიდობიანი და აღსამაღლებელი ქართული კონდაკიდგან დაისწავლა ზეპირად და ამბობს მაშინ, როცა გალობს ქართველ მოწაფეთ გუნდი.

სოლომონ და დავით.

⁂ **ს. ხაშმი.** კაცი თუ თვალყურს ადევნებს გაზეთებს უსათუოდ შეხვდებოდა ამბებს, რომ ესა და ეს სოფელი ამა და ამ კაცმა მთლად ხელთ ჩაიგდო თავის გამოცდილის და ულვთო მევახშეობითაო. და მართლაც სად არ შეხვდებით ამ წურბელებს თივიანთი უშველებელ სარგებლების ლებით. თუმცა მთავრობამ გამოსცა კიდეც მევახშეების წინააღმდეგ კანონები, რომ 12% მეტი სარგებელი არ აიღოთო, მაგრამ ჩვენი ვაჟ-ბატონნი მევახშენი მაინც კიდევ ახერხებენ ყვლეფას, ნამეტურ სოფლებში გლეხებისას, ისე რომ ზოგიერთი ულმერთო მევახშე თითქმის მანეთსაც არ სჯერდება თუმანზე თვეში. ათ შაურებსა და ორ აბაზებს, ხომ თქმა აღარ უნდა. აი სწორეთ ერთ ამგვარს მევახშეს არც თუ ჩვენ ხაშმელები გადაურჩით. მიკიტნის დუქანი აქვს ერთს აქაურს მკვიდრ მცხოვრებელს თავისთვის მსუქნათ არის ჩასუქებული. რომ დაუსახელო ხელათ ორას-სამას თუმანს გამოიტანს სახლიდგან და რითი? სწორეთ აი იმ ულმერთო სარგებლების ანაღებით. მთელი სოფელი შეწუხებულნი არიან. არ იციან რა ჰქნან, მაგრამ იციან, რომ ამის იქით გზა არა აქვთ და აი ეს ჩვენი ვაჟ-ბატონი ამითი სარგებლობს.

ბევრჯელ ხდება ისე, რომ ორმოცი თუმანი რომ მისცეს ვისმეს, სამ წელიწადს უკვე ასი თუმანი ხდება.

ანგარიშებს ჯერ ერთ წელს 400 მან. სარგებლით, მერმე ამ სარგებლით მიმატებულ თანხას მეორე წლის სარგებელს მიათვლის, მერმე ერთად კიდევ მესამე წლის სარგებელს და იმის ნაცვლათ რომ ოთხასი მან. პირდაპირ ეანგარიშნა 3 წლის სარგებელი, ჩვენი მოვახშე კი ზომავს ამ ზემოთ მოყვანილ ხერხით. მაგალითები შეიძლება ჩამოითვალოს უთვალავი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა და კარგი იქნებოდა, რომ ყურადღებას მიაქცევდეს ვისაც ჯერ არს, თორემ თუ ასე იპარპაშადა ითამამა, მგონი ძალიან მალე მთელი ხაშმის ბატონათ შეიქმნება.

სუფლიორი.

⁂ **ქ. ბაქო. გენერლის მოკვლა.** შაბათს 24-ს ამ აპრილს კუბიდგან ბაქოში დიდი სახელმწიფო
გზით მოდიოდა ორი ეტლი. წი
ნა ეტლში ისხდნენ აქაური მ
დარი ვაჭარი ტარუსოვი და ა
ური გიმნაზიის დირექტორი ბ
ბედონოსცევი, უკანა ეტლში
ისხდნენ გენერალ-მაიორი ლის
კო და აქაურივე გიმნაზიის შ
რდების ზედამხედველი კაბიბ
ვი იქნებოდა ღამის ათი საათი რ
ცა ეს ეტლები მოუახლოვდა ჩვენ
ქალაქს ბნელი ღამე იყო, ს
ექვსი ვერსის გავლა-ღა დარჩა
მგზავრები ნელა მიდიოდნენ
გზა-გზა საამურად ბაასობდნენ. თ
იარაღი არავის არა ჰქონდა, უ
ბათ სამჯერ ზედი-ზედ გავარ
თოფი. სამივე ტყვია მოხვდა ზ
რგში და წელში გენერალ-მაიო
ლისენკოს. ავაზაკები იმ წამსვე გ
ჰქრენ. დაჭრილი ლისენკო ის
კუბაში დააბრუნეს, სადაც ექვ
საათისს შემდეგ, გათენებისას დ
დის ტანჯვის შემდეგ გარდაიც
ლა. დღემდის ვერ გამოუკვლე
ათ რა იყო მიზეზი ამ ადამიან
მოკვლისა. თუმცა ყოველი ღ
ნის-ძიება მიიღეს ავაზაკების შე
ყრობისათვის, მაგრამ ვერაფე
ვერა შეიტყვეს-რა. დანარჩენი მგზ
ვრები მშვიდობით ჩამოვიდნენ
მათგანი არავინ არ არის გაც
ცული, თუმცა ნივთები და ფ
ლი ბლომათ ჰქონდათ იმ დრო

ვ. კ

## სახალხო ჰიგიენა

საუბარი ჯანმრთელობის შესახებ

(რუსულიდან)

სხეულის სისუფთავეზე

**III ტალახი.** მტვერი, რომელ
დაჯდება იატაკზე, კედლებზე
ერევა ნესტში და წარმოად
ტალახს უფრო მავნებელს ჯან
თელობისთვის სანამ თვითონ
ვერი. აქედან ვხედავთ, რომ ს
გომი ოთახიდან მტვერი უნდა
ნიდევნოს კარ ფანჯრების გა
ბით. თუ კი ოთახში ქალალ
(შპალიერი) არ არის გაკრულ
მაშინ შეიძლება კედლები გაირ
ხოს ცხელი წყლით წელიწა
ერთხელ მაინც, იატაკი უნდა
იწმინდოს ჯერ სველი მერე მშ
ლი ფალასით, რაც შეიძლება ხ
რათ, იმიტომ რომ იატაკზე ჯდ
მტვერი, აგრეთვე ფეხსაცმელს
მოჰყვება ხოლმე ტალახი, რომ
შიაც გაცილებით მაერზე მ
გახრწნილი ნივთიერება არის.
ტაკი უნდა გაირეცხოს ცხელ
წყლით და საპნით ან ცხელი
ცარწყლით. იატაკი ცარიელი წყ
მოსმით კი არ იწმინდება და
რო ითხუპნება ტალახით. სა
გაწმენდის შემდეგ იატაკს მო

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 808.

სუფთა ფალას, რომელიც ამო-
ბს უკანასკნელ სისველეს და
ება სუფთა. ხალხი კი იატა
გასაწმენდათ ხმარობს რო-
ც მოხვდება წყალს გინდა
ლი იყოს და გინდა ტალახია-
ესეარ შეიძლება, იატაკს ვრეც-
ჩვენ იმისთვის, რომ სუფთა
და თუ ისევ ტალახი წაუს-
ხედ, მაშინ უარესი უსუფ-
ბა გამოგვივა. ჭუჭყიან ამღვ-
ლ წყალში ურევია არა ნაკ-
ი გადამდები სენის ნაწილები
მტვერში. განა შეიძლება
ი სენის მაგივრათ მეორე შე-
ნოთ სახლში? იატაკის და კი-
ის გასაწმენდათ უნდა იხმაროთ
ი სუფთა წყალი, როგორსაც
ცხისათვის ლბჭურჭლისთვის ხმა-
ენ. წინააღმდეგ შემთხვევაში
მოგვივა ზარალი ჯანმრთე-
ბაში, რადგანაც სველი ტალა-
იატაკზე გალესილი, მშრალ
აზზე უფრო მავნებელია. სის-
ეში გადამდები სენის ნაწილე-
რავლდება უფრო მეტი. ნეს-
ხადგომში უფრო ადრე სნე-
დება კაცი. რისთვის? იმისთვის,
სადაც ნესტია, იქ ბუდეა გა-
ები სენისა. სისუფთავის მოყ-
ლ დიასახლისებს ვურჩევთ
ად გადმოსწმინდონ ხოლმე
რი, ოთახებიდან და უფრო
ებიდან სველის ფალასით,რო-
აც მტვერი ადვილათ მიეკრო-
ოლმე. აგრეთვე იატაკიც უნ-
ველი ცოცხით მოიგავოს ყო-
დღე.

ზ. კ—ძე.

## ყურმოკრული საუბარი

ველგან და ყოველ ჟამს ერთი
გივე ლექსი.
თს ოჯახში პაწია პავშვებს ეკით-
ნ:
— გესიკო, შენ რომ გაიზრდები და
ბ ტდები რა საქმე უნდაგ გქონდეს.
— მე მინდა მდიდარი კაცი ვიყო.
— შენ ლიზიკო?
— მეც რა თქმა უნდა, მაშინ ვ-
ს ცოლი შევიქნები.

* * *

რომა ახალგაზდა მხედარმა დასცინ
ს ბებერ ნათესავს მხედარს, რო-
ც სამსახურიდან გადაყენებულ იყო
ის სიმრავლის გამო.
— ბიძიავ, გეტყობათ თქვენი ტანი-
სი დიდი ხანია არ ჩაგიცვავთ, ტა-
თოს შმორის სუნი უდის.
— ტყუილს ამბობ ჩემო კარგო,
ტანისამოსს შმორის კი არა თო-
წამლის სუნი ასდის, რომელიც
არას დროს არ გიყნოსია.

## ვასართიბი

მეფე ფილიპე მაკედონელის
დროს ერთი ფილოსოფოსი სცხოვ-
რებდა სახელად დემოკრიტი, რო-
მელიც ხშირად ეწინააღმდეგებოდა
ხოლმე მეფეს, როცა ეგ უკანას-
კნელი უსამართლოდ სჯიდა.

ერთხელ მეფე ფილიპე მაკედო-
ნელმა უთხრა დემოკრიტს.

— განა არ გეშინიან რომ თავს
გაგაგდებინებ ასეთი უხიაკი ლა-
პარაკისთვისო?

— სულაც არ მეშიშიანო, მიუ-
გებდა ხოლმე დემოკრიტი, რად-
გან შენ თავს გამაგდებინებ, მაგრამ
ხალხი ჩემს თავს უკვდავად ყოფ-
სო.

მეფე ალექსანდრე მაკედონელმა
ერთხელ დაინახა, რომ ვიღაც
ბებერი კარის კაცი თმებს იბარც-
ხნიდა და რაღაც სუნელოვან ზეთს
იცხებდა, მეფემ გაჯავრებით უთხ-
რა:

— შენ, ჩემო ძამიავ, ის გერჩივ-
ნა თმებზე კი არა,ფეხებზე წაგეც-
ხო ეგ სუნელოვანი ზეთი, იქნება
ამით შენ ფეხებს უფრო ძალა
შემატებოდა, რომ სიარული შეგ-
ძლებოდა უჯოხოთო.

— პლატონს გაჯავრების დროს
ჩვეულებად ჰქონდა არავინ არ
დაესაჯა. ერთხელ მსახურმა რა-
ღაც სისაძაგლე ჩაიდინა და პლა-
ტონმა ასე უთხრა:

შენი ბედი, რომ გაჯავრებული
ვარ, თორემ, რომ მშვიდათ ვყო-
ფილიყავ კარგა ლაზათიანად მიგ-
სილაქავდიო.

## რჩეული აზრები

✦ ყველა დავრდომილთა, უმწეოთა,
შეწუხებულთა და დაჩაგრულთათვის არ-
სებობს მხოლოდ ერთი ნავთსადგური
დამამშვენებელი მოთმინება.

✦ სიკვდილზე ბევრი საყვედურია
ხოლმე, მაგრამ ვინც კი სიკვდილს
უსაყვედურებს, არას დროს არ გამოუც-
დია იგი. ხოლო ვინც თვითონ არ გა-
მოცდის რასმე და ისე ლაპარაკობს იგი
უსამართლოდ იქცევა.

✦ ჩვენ უფრო მეტ შემთხვევაში
ცხოვრებისათვის კი არ ვსწავლობთ,
არამედ სკოლისათვის.

✦ სინიდისს უფრო ავსებს რწმენა
და რწმენას კიდევ სინიდისი.

✦ ჩვენ ყველა ვიბადებით, არა თა-
ნასწორნი ხოლო ვკვდებით კი ყველანი
გათანასწორებულნი.

✦ სიკვდილი ერთი, ხოლო ავადმ-
ყოფობა და სნეულება ურიცხვი.

✦ ნუ შესწუხდები ხოლმე ისეთის
ამბებით, რომელნიც შესაძლებელია
მოხდეს და არც მოხდეს.

✦ სისულელეა მთელის სიცოცხლი-
სათვის შექმნა რაიმე გეგმა, როდესაც
ძალა არ გაქვს ხვალინდელი დღის ბა-
ტონი იყო.

✦ ბედნიერია ის კაცი, რომელმაც
იცის თავის დროს განაწილება.

# სამეცნიერო ცნობა

ლითონების სიმაგრე. თუ დასა-
ბამ ზომად მივიღებთ რიცხვს 100,
მაშინ ლითონების სიმაგრე გამოიხა-
ტება შემდეგ რიცხვებში: ტყვიის სიმაგ-
რე უდრის 168, კალასი 238, ოთო-
რის—398, ცინკის—426, ნიკელი-
სა—557, რბილი ფოლადისა—765,
შუშისა—1,355, და ნაწრთობი ფო-
ლადისა—1375-ს.

## საოჯახო ცნობა

საწერ-კალმის დიდხანს შენახვა
ვისაც უნდა, იმან უნდა მიმართოს შემ-
დეგ უბრალო საშუალებას. საწერ მა-
გიდაზე იქონიოს ხოლმე ნედლი კარ-
თოფილი, და გაათავებს წერას თუ არა,
კალამი ერთ-ორჯერ შეურჭოს კარტო-
ფილს, ეს საშუალება კალამს დიდხანს
ინახავს და არც აჟუჟუიანებს.

—

იოდოფორმის სუნის გაფუჭება.
მეჭვეღია ბევრს შეაწუხებდა იადფორ-
მი თავის მწარე სუნით წამლობის
დროს. იადოფორმს ექიმები ხმარობენ
ჭრილობის დროს. იოდ-ფორმის სუნი
ისეთია, რომ რაც გინდა საპონი იხ-
მაროთ მაინც ვერ მოიშორებთ. იოდ-
ფორმის სუნის ასაცილებლად საჭიროა
იხმაროთ ეგრედ წოდებული სკიპიდა-
რი. ჯერ სკიპიდარის წყალში უნდა გა-
რეცხოთ იოდ-ფორმისაგან და მერე უბ-
რალო საპონ-წყალში და სუნი მალე
გაქრება.

# წვრილი ამბავი

ბედნიერი დღენი ქორწინებისათვის.
საფრანგეთის ზოგი მკვლევარნი ამბობენ,
რომ წლის განმავლობაში არის ნამდვი-
ლად ბედნიერი დღენი ქორწინებისათვის·
იმათის გამოკვლევით ყველაზე უფრო ბე-
ნიერ დღეთ ქორწინებისათვის უნდა ჩაი-
თვალოს შემდეგი რიცხვნი საზოგადოდ
იანვარში 1, 3, 10, 19 და 21; თებერვა-
ლში 1, 3, 10, 19 და 21; მარტში 3,
5, 12, 20 და 23; აპრილში 2, 4, 12,
20 და 22; მაისში 2, 4, 12, 20 და 23;
ივნისში: 1, 3 11, 19 და 21; ივ-
ლისში 1, 3, 12, 19 და 21; აგვისტო-
ში 2, 11, 18, 20 და 30; სეპტემბერში
1, 9. 16, 23 და 28; ოქტომბერში: 1, 8,
15, 17 27 და 29; ნოემბერში: 5, 11,
13, 22 და 25 და დეკემბერში 1, 8, 10,
19, 23 და 29.

## ქართული სტამბები და დაბე-ჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდან (1629 წლიდგან)*).

ტფილისის სტამბები და წიგნების
ბეჭდვა XIX საუკუნეში.

91, საუკეთესო ცოდნა ცხოვ-
რებაში თარგ. გამოც. 1870 წ.
მეორე გამოცემა 1887 წ.

92, მოკლე ისტორია წმ. გი-
ორგისა, რუსულით, 1886 წ.

93, ამბები ძველის ღრთისხალ-
ხებზე, 1866 წ.

94, ახალი გამოკვლევა ისტო-
რიის წინა დროებზე. დ. ბაქრა-
ძისა 1881 წ.

95, ბაგრატ მეოთხე, მისივე
1886 წ.

96, მირიან მეფე და წმ, ნი-
ნო მისივე 1886 წ.

97, პონტის მეფე მიტრიდატ
დიდი, 1884 წ.

98, ვახტანგ მეექვსე მისივე
1886 წ.

99, საქართველო ანდრია მო-
ციქულის დროს 1884 წ.

100 ეგვიპტელნი საქართველო-
ში და ქართველები ეგვიპტეში
1885 წ.

101, მქართლის ცხოვრება,
ნაწ. 1882 წ.

1002, საქართველოს ძველი
დროის მეფეები, ზ. გულისაშვი-
ლისა 1886 წ.

103, დასტურ ლამა, ვახ-
ტანგ მეფისა, გამოც. პ. უმიკა-
შვილისა 1886 წ.

104, საქართველოს ისტორია,
ვახუშტი ბატონიშვილისა, 1885 წ.

105. წმინდა დავით გარეჯელის
უდაბნო, მღვ. მონოზ. კალისტრა-
ტესი, 1884 წ.

106, წამება წმიდისი გიორგისა
მღ. ნ. მაღალდაძისაა 1879 წ.

107, შოთა რუსთაველი ზ. მთაწ-
ინდელისა, 1884 წ.

108, ნ. ბარათაშვილი მისივ.
1885 წ.

109, ანდრია მოციქულის დროს
საქართველო, დ. ბაქრაძისა 1884 წ.

110, საქართველო, პირველი
რვეული, დ. ბაქრაძისა, 1871 წ.

111, ცხოვრება და ტანჯვა
წმიდისა პარასკევასი მღ. ერ. რაზ-
მაძისა, 1882 წ.

112, რესკრიპტი დიდის მთავა-
რის კავკასიის მთავარმართებლის
მიხეილ ნიკოლოზის ძის, 1885 წ.

113. შუშანიკინი, არ. ატერ
ფერსილოვისა, 1879 წ.

114, ქარტა ბალკანეთის სა-
ხელმწიფოებისა, 1887 წ.

115, ეტნოგრაფიული განხილ-
ვა ძველთა და ახალთა კაპადო-
კიის ანუ ჯანეთის მკვიდრთა დ.
ჩუბინაშვილისა 1879 წ.

116, საქართველოს ისტორია
რ. ცამციევისა 1882 წ.

117, ცხოვრება იოანე ოქრო-
პირისა, 1883 წ.

118, ცხოვრება წმ. ბარბარესი
და ცხრა ნეტარება, 1883 წ.

119, მგზავრობა სვანეთისაკენ,
1874 წ.

120, წამება წმ. ქეთევან დედო-
ფლისა, 1876 წ.

121, წამება წმინდა მარინესი
და აბრამიანი 1874 წ.

122, იმერლები გ. იოსელია-

*) იხ. «ცნ. ფურ.“ № 808.

ნისა, ტფილისში, 1878 წ.

123 სახსოვარი ბატონიშვილის ალექსანდრეს გარდაცვალებაზე, 1882 წ.

124, საქართველოს ისტორია მ. ჯინაშვილისა პირ. გამოცემა 1884 წ.

125, მეორე 1896 წ.

126, საქართველოს საეკლესიო ისტორია მისივე 1886 წ.

127, საქართველოს აოხრება გამოცემა 1883 წ.

128, ისტორია გალექსილი, 1859 წ.

129, ალექსიანი 16 გამოცემა, 1898 წ.

130, ქალვაჟიანი 33 გამოცემა, 1898 წ.

131, უმთავრესი მოთხრობანი საღმრთო ისტორიისა 1887 წ.

132 ცოლი თუ გინდათ ეს არის! კომედია ვ. აბაშიძისა 1879 წ.

133, ქალ-ვაჟის დარდები, 1880 წ.

134, სამშობლო, ანუ ლექსთა კრება. მ. გორდაძისა 1881 წ.

135, ალლუმიანი, ძველი პოემა, გამოცემა ნიკო გამრეკელისა 1885 წ.

136. ამ დროს მეგობრობის სამღერა, 1880 წ.

137, კომედიები ზ. ანტონოვისა, 1875 წ.

138, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, რომნი, 1878 წ.

139, არსენას ლექსი, გამოცემა, 1875 წ.

140 ასოთ სამღერალი ეტლის წიგნი, 1883 წ.

141, ხემ დაისხა ხილია, მიხ. ახპატელოვისა, 1852 წ.

142, მელა მასრადინა მ. ახპატელოვისა, 1884, წ.

143, საქართველოს თაიგული მ. ახპატელოვისა, 1883 წ.

144, რუსისა და თათრის ომიანობა, 1886 წ.

145, ანდაზები ალ. ბალუაშვილისა, 1873 წ.

146, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. 1879 წ.

147, ბერამიონი, სპარს. ნათარგმნი, 1886 წ.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

28 აპრილი

**პეტერბურგი.** 29 აპრილს გაავში წავიდა ჩინეთის ელჩი იო-ანგიუი.

აკურთხეს ახალი ტაძარი, რომელიც აგებულ იქმნა გუტუევის კუნძულზედ ხელმწიფე იმპერატორის, მაშინ მემკვიდრე ცესარევიჩის, იაპონიაში ყოფნის დროს განსაცდე-

ლისაგან გადარჩენის სახსოვრად.

**სიმფეროპოლი.** სომეხმა კრიკორ მანუკმა ხანჯლით მოჰკლა მდიდარი ოსმალო-მევახშე ასან-მენსტა-ალიოღლი.

**გელსინგფორსი.** გელსინგფორსის მახლობლად სოფელ კუმრიარვში, მუშამ მალმინენმა ექვსი კაცი მოჰკლა: თავისი დამქირავებელი, 56 წლის კაცი, იმისი ცოლი, ორი მცირე წლოვანი ბავშვი და მოზდილი ქალი. მკვლელი დაიმალა. გამოძიებას შეუდგნენ.

**პარიზი.** ახალშენთა მინისტრმა ჯიბუტის გუბერნატორისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც უარ ყოფილია ხმა მარშანის მოკვლის შესახებ.

როგორც »Petit Bleu« იუწყება, სალამოთი ელისეის სახლის დარბაზში ლაპარაკობდნენ, რომ საკასაციო სასამართლოს წევრების უმრავლესობა საქმის ხელ-ახლა განხილვის მომხრეაო.

## თეატრალური ბიბლიოთეკა.

შემოწირული წიგნები: ივანე მაჰავარიანმა შემოსწირა: თხუტმეტი წიგნი ფრანგულს ენაზედ: მოლიერი, ვიკტორ ჰიუგოს (2 წიგნი), ლაბიში და დელაკრუა, ზოლა, ლეონ-ჰენივ, ბუვიე, ძმანი გონკურები, გონდინიე, სკრიბი და ლეგუვე (2 წიგნი), ლამარტინ, ჟორჟ ზანდ, დელავინ' ედუარდ კადელი, 2. ხუთი წიგნი რუსულს ენაზე: »ნორა« და პატარა ვიოლ ფი"—იბსენისა, »მიტოვება"—ფრანსუა კოპპესი. Первое знакомство со сценой —კაფეტროეისა და რაზსოხინის კატალოგი პიესებისა.

## რედაქციისაგან

**ოზურგეთში** სილიბისტრო შუხუთელს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ყვირილაში** არწივს. თქვენი ლექსი ვირსა და მელაზე ვერ იბეჭდება.

**ბახვში** ბ-ნ ანთაძეს თქვენი წერილის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა.

# განცხადებანი


იყიდება

,,ცნობის ფურცლის‘‘ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე . | 2 | „ |
| ალექსანდრე ყაზბეგისა | 2 | „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა . . | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—25)

# ვ. გუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

# ორთქლით მომუშავე სტამბა

# ექვთიმე ი. ხელძისა

სტამბა ტელეფონი 648.

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახალ შენობაში.

(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომ[უშავე] მბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭ[...] ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საქ[ა]დამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატ[ებით]. კისრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყვე[ლა] გილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშ[ურებს], ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, ს[ადარბა]ზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწ[დომ] ფასათ. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით:

Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—

| Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й. |
|---|---|---|

десять рублей.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г.

на ежедневную

ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНОУЮ ГАЗЕТУ

# „НАРОДЪ“

(третій годъ изданія)

Подписная цѣна газеты понижена до **десяти** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.

Газета посвящаетъ себя разработкѣ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа.

Въ газетѣ между прочимъ сводится много мѣста вопросамъ желѣзнодорожнаго дѣла въ Россіи. вопросамъ Церковнымъ, вопросамъ ,военнымъ и вопросамъ, касающимся жизни провинціи.

Сообщеніямъ изъ провинціи широко раскрыты страницы газеты, такъ какъ она сознаетъ важную роль, какую все болѣе и болѣе занимаетъ провинція въ жизни Русскаго Государства. Всякое сообщеніе, идущее отъ мѣстныхъ лицъ, касающееся жизни городовъ земствъ, вопросовъ сельско-хозяйственныхъ, торгово-промышленныхъ и т. п., съ благодарностью принимается газетою, если оно проникнуто духомъ общей пользы, а не личныхъ счетовъ. Для болѣе яркаго освѣщенія провинціальной жизни въ газетѣ существуетъ особый отдѣлъ подъ заглавіемъ „Провинціальный фельетонъ“, въ которомъ свѣдѣнія полученныя отъ кореспондентовъ и почерпнутыя изъ провинціальныхъ газетъ, разрабатываются сотрудниками, близко знакомыми съ провинціальной жизнью и спеціально для Етой работы приглашенными.

ПОДПИСНАЯ ПЛАТА.

| | На 1 годъ. | На 6 мѣс. | На 3 мѣс. | На 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| **Въ Россіи,** повсемѣстно, съ перес. и доставкой . . . | 10 р. | 5 р.—к | 2 р. 50 к. | 1 р.—к. |
| **За Границею,** въ государ. почтоваго союза . . . | 14 » | 7 » 50 » | 3 » 75 » | 1 » 50 » |

**подписка принимается:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.

МОСКВѢ: въ конторѣ биржевого маклера И. Ю. Шульца (старый гостиный дворъ) въ главномъ газетномъ агентствѣ К. Н. Александровой (на Тверской), а также въ Главномъ Агентствѣ А. Ф. Сенъ-Мартенъ (Неглинный проѣздъ Противъ Гос. Банка.

Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращаться въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.

Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскій.** (8—4)

| Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й. |
|---|---|---|


Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Мая 1899 г. ხტ. „ცნ. ფურც.“) ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი გ. ?